ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის ექვსი თვის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 3347,8 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 3142,7 ათასი ლარის შემოსულობები, რაც გასული 2016 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებზე 726,2 ათასი ლარით ნაკლებია (2016 წლის ექვს თვეში მიღებულია 3868,9 ათასი ლარის შემოსავლები) 2017 წლის შემოსავლების ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 93,9 პროცენტით .

მუნიციპალიტეტმა ექვსი თვის საკუთარი შემოსავლების გეგმა 139,4 პროცენტით შეასრულა (გეგმა 517,1 ათ. ლარი ფაქტიური შესრულება 720,7 ათ, ლარი) მათ შორის:

გადასახადებიდან მუნიციპალიტეტს დაგეგმილი 245,3 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 258,9 ათასი ლარი, მათ შორის საშემოსავლო გადასახადი 90,0 ათასი ლარი, საწარმოთა ქონების გადასახადი 168,9 ათასი ლარი და არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 0,6 ათასი ლარი; გადასახადების ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 105,3 %-ით, მიუხედავად გეგმის შესრულებისა გასულ წლის ექვს თვესთან შედარებით მუნიციპალიტეტს გადასახადებიდან მიღებული აქვს 31,1 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალი (გასულ წლის იანვარ-ივნისში გადასახადებიდან მიღებული იყო 290,0 ათასი ლარი;

სხვა შემოსავლების გეგმა 2017 წლის ექვს თვეში განსაზღვრული იყო 271,8 ათასი ლარი, ფაქტიურად კი მიღებულია 435,3 ათასი ლარი, 163,5 ათასი ლარით მეტი და გეგმის შესრულების პროცენტი შეადგენს 160,2 %-ს. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიმდინარე წლის ექვს თვეში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აღნიშნულ სახეში შემოსულია 88,6 ათასი ლარით მეტი. (2016 წლის ექვს თვეში მიღებულია 346,7 ათასი ლარი)

აქედან, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელში მიღებულია 17,5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან 18,0 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი 5,2 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი მიღებულია 18,3 ათასი ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები კი ფაქტიურად მიღებულია 374,4 ათასი ლარი, ამ სახეში სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების გაზრდით, გასული წლის ექვს

თვესთან შედარებით ჯარიმებიდან მიღებული გვაქვს 97,4 ათასი ლარით მეტი (2016 წლის ექვს თვეში ჯარიმებიდან შემოსულია 277,0 ათასი ლარი)

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები ექვს თვეში დაგეგმილი იყო 2830,7 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულმა ტრანსფერმა შეადგინა 2422,0 ათასი ლარი.

აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი მიღებული გვაქვს 2277,0 ათასი ლარი და მიზნობრივი ტრანსფერი 69,0 ათასი ლარი, ხოლო სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი 76,0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულობები დაგეგმილი არ ყოფილა, ფაქტიურად შემოსულია 26,5 ათასი ლარი, აქედან 10,8 ათასი ლარი ძირითადი ქონების გაყიდვიდან და 15,7 ათასი ლარი მიწების გაყიდვიდან.

მიმდინარე წლის ექვს თვეში 2017 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახსრების ნაშთიდან გამოყენებულია 688,1 ათასი ლარი, აქედან სახ. ფონდებიდან 572,6 ათ. ლარი და 115,5 საკუთარი სახსრებიდან.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის ექვსი თვის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში განისაზღვრა 3968,4 ათასი ლარი, ფაქტიურად გაწეულია 3481,8 ათასი ლარი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაწეულია 741,5 ათასი ლარით ნაკლები ხარჯი , 2016 წლის ექვს თვეში მუნიციპალიტეტს გაწეული აქვს 4223,3 ათასი ლარის ხარჯი. სხვაობა ძირითადად გამოწვეულია სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის გამო, ჩაშლილი ტენდერები, კლიმატური პირობები .

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსებაზე დაგეგმილი 1080,5 ათასი ლარიდან გაწეულია 1048,5 ათასი ლარი, გასული წლის ექვს თვესთან შედარებით 76,3 ათასი ლარით ნაკლები, ხარჯების შემცირება მთლიანად გამოწვეულია საქ. მთავრობის დადგენილების მოთხოვნის შესაბამისად. მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები 2017 წლის ექვს თვეში განსაზღვრული 260,1 ათასი ლარიდან გაწეულია 250,5 ათასი ლარით და 2016 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საკრებულოს ხარჯები შემცირებულია 16,1 ათასი ლარით, (2016 წლის ექვს თვეში საკრებულოს მიერ გაწეულია 266,6 ათასი ლარის ხარჯი) შემცირებულია როგორც შრომის ანაზღაურების, ასევე საქონელი და მომსახურების ხარჯები.

მუნიციპალიტეტის გამგეობის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 820,4 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 798,0 ათასი ლარი, ანუ 94,9 პროცენტით, 2016 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მუნიციპალიტეტის გამგეობის შესანახი ხარჯები შემცირებულია

60,2 ათასი ლარით (2016 წლის ექვს თვეში გამგეობის მიერ გაწეულია 858,2 ათასი ლარი) ხარჯების შემცირების ძირითადი მიზეზი არის შრომის ანაზღაურებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯების შემცირება.

2017 წლის ექვს თვეში მუნიციპალიტეტს სარეზერვო ფონდიდან მიმართულია მხოლოდ 6,6 ათასი ლარი. (მარელისის გზის გასაწმენდად 4,1 ათასი ლარი და სოციალური უზრუნველყოფიდან 1,5 ათასი ლარი პირადად გოჩა კვინიკაძის ერთჯერადი დახმარებისათვის).

თავდაცვის ხარჯების დასაფინანსებლად დაგეგმილი 41,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 41,3 ათასი ლარი, მ.შ. 5,4 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით არის გაწეული.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 2017 წლის ექვსი შედეგების მიხედვით დაგეგმილი 1297,1 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 956,3 ათასი ლარით, რაც გასული წლის ექვსი თვის შედეგებს 178,1 ათასი ლარით ჩამორჩება , გასულ წელს ინფრასტრუქტურულ პროექტებს აღნიშნულ პერიოდში მოხმარდა 1134,4 ათასი ლარი, კლება მიმდინარე წელს როგორც ზევით აღვნიშნეთ გამოწვეულია სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის გამო, ჩაშლილი ტენდერები, კლიმატური პირობები და ა.შ....

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაგეგმილი 681,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 446,0 ათასი ლარი, აღსანიშნავია რომ გასული 2016 წლის ექვს თვესთან შედარებით საგზაო ინფრასტრუქტურაზე დახარჯულია 49,9 ათასი ლარით ნაკლები ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო . 2016 წლის ექვს თვეში დაიხარჯა 495,9 ათასი ლარი.

მათ შორის გზების მშენებლობა, რეკონსტრუქციის მოვლა–შენახვის ხარჯები დაგეგმილი 640,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 441,8 ათასი ლარი, გზების რეაბილიტაცია ხორციელდებოდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის N 175 (04.02.2016 წ) განკარგულებით გამოყოფილის სახსრების ნაშთიდან გედსამანიის გზის სარეაბილიტაციოდ 284,4 ათასი ლარი და 2017 წლის N 480 განკარგულებით (14,03,2017წ) 76,0 ათასი ლარი, (წაქვის და ვერტყვილის გზის რებილიტაცია) 2016 წ 1533 (28,07,2016წ) განკარგულებით 9,5 ათასი ლარი (ხიდრის და კიცხის გზის შეკეთება). საკუთარი სახსრებით 71,9 ათასი ლარი მ. შ: თანდაფინანსებისათვის 11,4 , საპროექტო სახარჯთარიცხვო დოკუმენტაციისაათვის 35,4 (ნადაბურის გზის დამცავი კედლების, სოფლებში გზების მოასფალტების, დაბაში კიკნაძის ქუჩის საპრ.) და გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან და

საწვავის შეძენა 20,1 ათასი ლარი და სტიქისაგან დაზიანებული მარელის გზის გაწმენდა 5,0 ათასი ლარი.

ხიდებისა და ბოგირების შეკეთებაზე მიმდინარე წლის ექვს თვეში ხარჯები არ გაწეულა.

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად გაწეულია 4,2 ათასი ლარი.

2) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე გათვალისწინებული 421,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 384,3 ათასი ლარი, ე.ი. 91,3 პროცენტი, აქედან: სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების მოწყობაზე 7,3 ათ. ლარი (დაბაში სანიაღვრე არხის მოსაწყობა) დასუფთავების ღონისძიებების სუბსიდირებაზე 280,9 ათასი ლარი, გარე განათების სუბსიდირებაზე 89,7 ათასი ლარი, 4,2 ათასი ლარი წყლის სისტემის მოსაწერიგებლად (დაბაში წყლის ტუმბოს შეძენა) ხოლო 2,2 ათასი ლარი დაიხარჯა განათების ქსელზე დასაერთებლად. (ღარიხევის, ლაშის ვერტყვიჭალის,მარელისის კლუბის ღორეშისა ად. ლეღვნის სარიტუალო დარბაზის) სულ აღნიშნული პროგრამის დასაფინასებლად 2016 წლის ექვს თვესთან შედარებით გაწეულია 5,8 ათასი ლარით ნაკლები, ეკონომია ძირითადად გამოწვეულია გარე განათების ხარჯების დაფინანსებაში;

3) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე დაგეგმილი 109,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 88,0 ათასი ლარი და მთლიანად მოხმარდა პარკებისა და სკვერების სუბსიდირებას. გასულ წელს კი ამ ღონისძიებაზე 117,0 ათასი ლარი იყო დახარჯული.

4) სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 2017 წლის ექვს თვეში გასული წლების სახელმწიფო ფონდების ნაშთიდან დაიხარჯა 38,0 ათასი ლარი, მიმდინარე წლის ბიუჯეტში სოფლის მხარდამჭერი პროგრამით სახსრები აღარ გამოყოფილა. (წიფის კიცხის, წყალაფორეთის წყლის სისტემის სამუშაოები 9,2 ათასი ლარი, სოფლებში გზის გაწმენდის სამუშაოები 15,1 ათასი ლარი, ხევის სარიტუალო დარბაზის დასრულების 7,2 ათასი ლარი, ზვარის სარიტუალუ სამზარეულო შენობის დასრულების 2,8 ათასი ლარი, წიფაში ხიდის შეკეთების 2,2 ათასი ლარი, სანიაღვრე და წყლის სისტემის სარემონტო რკინის ბოძების შეძენის 1,2 ათასი ლარი, ბაზალეთში გარე განათების რკინის მილების შესყიდვის 0,3 ათასი ლარი).

განათლებაზე 2017 წლის ექვს თვეში გათვალისწინებული 574,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 551,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 96,0 პროცენტით, მ.შ. სკოლამდელი

განათლებაზე დაგეგმილი 450,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 447,5 ათასი ლარი, სკოლა–ინტერნატის სუბსიდირებაზე – 50,1 ათასი ლარი, მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 50,2 ათასი ლარი და განათლების ობიექტების, კერძოდ საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 4,1 ათასი ლარი სოფელ ბორითის საბავშვო ბაღის 2015 წ ჩატარებული სარიბილიტაციო სამუშაუებზე დაკავებული საგარანტიო (2,5 %)-ის თანხა.

სულ განათლების დაფინანსებაზე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაწეულია 177,5 ათასი ლარით ნაკლები ხარჯი. (გასული წლის ექვს თვეში განათლებას მოხმარდა 729,5 ათასი ლარი)

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები დაგეგმილი 595,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 533,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 89,6 პროცენტი, აქედან სპორტის განვითარებაზე 171,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 160,2 ათასი ლარი, საიდანაც სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 3,5 ათასი ლარი, სპორტული სკოლის სუბსიდირებაზე 106,1 ათასი ლარი, ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 50,6 ათასი ლარი.

კულტურის განვითარებაზე დაგეგმილი 367,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 341,6 ათასი ლარი და დაფინანსებულია 93,0 პროცენტით, აქედან:

სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 49,0 ათასი ლარი, ხალხური შემოქმედების სახლის სუბსიდირებაზე 15,0 ათასი ლარი, კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 137,4 ათასი ლარი, ცენტრალური ბიბლიოთეკის სუბსიდირებაზე 73,1 ათასი ლარი, ისტორიული მუზეუმის სუბსიდირებაზე 43,3 ათასი ლარი, რ. თაბუკაშვილის სახ. ლიტ. თეატრის სუბსიდირებაზე 23,8 ათასი ლარი. ა(ა)იპ ჩართულობის ცენტრის სუბსიდირებაზე 27,3 ათასი ლარი;

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 4,8 ათასი ლარი.

გასულ წლის ექვს თვესთან შედარებით მიმდინარე წელს კულტურის და სპორტის სფეროს დაფინანსებას მოხმარდა 292,8 ათასი ლარით ნაკლები, ვინაიდან მიმდინარე წელს არ დაფინანსებულა საფეხბურთო კლუბი ჩხერიმელა, ასევე საგრძნობლად შემცირდება აღნიშნულ დარგში გაერთიანებული ა(ა)იპ-ების სუბსიდირება .

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე ექვს თვეში დაგეგმილი 378,5 ათასი ლარიდან დაიხარჯა 349,9 ათასი ლარი- 92,4 %, აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია 64,3 ათასი ლარი და

სოციალურ პრგრამებზე 285,6 ათასი ლარი, აქედან უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დახარჯულია 42,3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე 215,3 ათასი ლარი, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 13,2 ათასი ლარი და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე უსახლკარო ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფისა და სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარების ხარჯებზე 14,5 ათასი ლარი; ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯებში გაწეულია 0.3 ათასი ლარი;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წლის ექვს თვეში გაწეული 3481,8 ათასი ლარიდან არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 457,7 ათასი ლარი, ვალდებულებების კლებაზე 5,0 ათასი ლარი, ხოლო 3 019,1 ათასი ლარი ყველა დანარჩენ ხარჯებზე, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 793,7 ათასი ლარი ანუ ხარჯების 26,2 %; საქონელზე და მომსახურებაზე 338,2 ათასი ლარი ანუ 11,2 %; აქედან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 68,9 ათასი ლარი, მივლინების ხარჯების ანაზღაურებაზე 4,6 ათასი ლარი, საოფისე ხარჯების გაწევაზე 82,8 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე 4,7 ათასი ლარი, სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე 66,1 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე 111,1 ათასი ლარი, სუბსიდირებაზე 1627,2 ათასი ლარი, გრანტებზე 0,4 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე 245,9 ათასი ლარი და სხვა ხარჯებზე 13,7 ათასი ლარი.

2017 წლის ექვს თვეში მთლიანად გადასახდელების დასაფინანსებლად გაწეული ხარჯები როგორც ზემოთ აღინიშნა, წინა წლის შესაბამის პერიდთან შედარებით შემცირებულია 741,5 ათასი ლარით; აქედან არაფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეული ხარჯები შემცირებულია 247,2 ათასი ლარით, ვალდებულებების კლება ასევე შემცირებულია 4,9 ათასი ლარით და სხვა დანარჩენი ყველა ხარჯები შემცირებულია 334,5 ათასი ლარით, მათ შორის შრომის ანაზღაურების ხარჯები შემცირებულია 28,7 ათასი ლარით, სუბსიდიები შემცირებულია 171,2 ათასი ლარით, თუმცა საქონელი და მომსახურების ხარჯები გაზრდილია 26,8 ათასი ლარით, ვინაიდან საკმაოდ გაზრდილია მუნიციპალიტეტის გამგეობაში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება და გზების თოვლის საფარისაგან გასაწმენდი ხარჯები. (საწვავი, ტრანსპორტის დაქირავებისა და სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოების ღირებულება)